



საჯარო სამართლის იურიდიული პირის- აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №231 § 6/02

ქ. ქუთაისი

30 დეკემბერი 2011წ.

უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 ივნისის №33 დადგენილებით დამტკიცებული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ეთიკის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გია დადუნაშვილი - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ბ) კახა კუხალაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი;

გ) დალი მიქაუტაძე - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

დ) დავით შავიანიძე - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას წარმოადგინოს ეთიკის კომისიის წევრის კანდიდატურა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი

გიორგი ლავთაძე

